www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა საქართველოში

2018

II კვარტალი

13.09.2018

www.geostat.ge

13.09.2018

შიდა ტურიზმის სტატისტიკა

(II კვარტალი, 2018 წელი)

2018 წლის მეორე კვარტალში, საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის და უფროსი ასაკის ადგილობრივი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 914.3 ათასით განისაზღვრა, რომლებმაც ქვეყნის ტერიტორიაზე განახორციელეს 1.1 მილიონი ვიზიტი. აღნიშნულ პერიოდში ვიზიტების რაოდენობა 5.2 პროცენტით აღემატება 2017 წლის მეორე კვარტალის შესაბამის მონაცემებს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2017-2018 წლების მეორე კვარტალში ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურ რაოდენობებს:

დიაგრამა №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა



2018 წლის მეორე კვარტალში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 464.6 ათასით განისაზღვრა, რაც 13.3 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით:

დიაგრამა №2

საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები ვიზიტის ტიპის მიხედვით



2018 წლის მეორე კვარტალში ვიზიტების 36 პროცენტი განხორციელდა 31-50 ასაკობრივი ჯგუფის ვიზიტორების მიერ. ამასთან, განხორციელებული ვიზიტების 55 პროცენტი მოდის ქალებზე:

დიაგრამა №3

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



დიაგრამა №4

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ვიზიტორების 26.8 პროცენტი ქ. თბილისის მაცხოვრებელია, 18.2 პროცენტი მოდის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე, 11,1 პროცენტი აჭარაზე, ხოლო დანარჩენი რეგიონები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით არის წარმოდგენილი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით:

დიაგრამა №5

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით, %



2018 წლის მეორე კვარტალში ვიზიტების უმრავლესობა (52.0 პროცენტი) განხორციელდა მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით:

(ცხრილი №1)

2018 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი

	ვიზიტების რაოდენობა	წილი, %
მეგობრების/ნათესავების მონახულება	573.9	52.0
მკურნალობა, გაჯანსაღება	134.2	12.2
შოპინგი	128.2	11.6
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	109.4	9.9
მეორე სახლის მონახულება (აგარაკი ან სხვ.)	76.1	6.9
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	49.0	4.4
რელიგია/მომლოცველობა	19.1	1.7
განათლების მიღება	4.2	0.4
სხვა	9.1	0.8
სულ	1,103.2	100.0

ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში (საშუალოდ 302.0 ათასი ვიზიტი თვეში) და იმერეთის რეგიონში (207.1 ათასი ვიზიტი თვეში). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით:

დიაგრამა №6

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა მონახულებული ადგილების მიხედვით, %



ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით:

დიაგრამა №7

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით



2018 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა განისაზღვრა 130.7 მილიონი ლარით. აღნიშნული მაჩვენებელი 12.9 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ამასთან, ვიზიტზე გაწეული საშუალო ხარჯი გაზრდილია 7.3 პროცენტით და 118.5 ლარს უტოლდება:

(ცხრილი № 2)

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ გაწეული საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

	ხარჯი (მლნ. ლარი)	წილი, %	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
განთავსება	3.3	2.5	3.0
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	1.6	1.2	1.4
საკვები და სასმელი	25.5	19.5	23.1
საყიდლები	43.4	33.2	39.4
ტრანსპორტი	24.1	18.5	21.9
სხვა	32.9	25.1	29.8
სულ ხარჯი	130.7	100.0	118.5

საკონტაქტო პირი: ირმა გვილავა
ტელ: (+995 32) 236 72 10 (608)
ელ. ფოსტა: igvilava@geostat.ge

საკონტაქტო პირი: მარიამ ყაველაშვილი
ტელ: (+995 32) 236 72 10 (020)
ელ. ფოსტა: mkavelashvili@geostat.ge